დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საჯარო მმართველობა და პოლიტიკა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

22.04.2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ნინო

გვარი: ფარსადანიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	180
9	განხორციელების ადგილი[5]	• ირინა ენუქიძის №3, თბილისი, საქართველო • თამარ მეფის ქუჩა №60, ბათუმი,

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 27.02.2025 № 501355
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	14.02.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	14.02.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	14.02.2032

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			

5. სწავლებისხარისხისგან ვითარებისშესაძლებლო ბები		X		

შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]

რეკომენდაციები:

1.4 კომპონენტი
რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო საგნებად გათვალისწინებული იყოს სტრატეგიული მენეჯმენტის და მარკეტინგის საფუძვლების კურსები.

1.4 კომპონენტი
რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი.

1.5 კომპონენტი
რეკომენდებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სიის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და შესაბამისობა აკადემიურ სტანდარტებთან.

1.5 კომპონენტი
რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმულები, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი არსებულ რესურსებზე მიუთითებს.

2.4 კომპონენტი
რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები და გრადაცია.

5.1 კომპონენტი
რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მათი ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად პროგრამის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრების ჩატარება პროგრამის განხორციელებაში და შეფასების პროცესში ჩართულ პირებთან.

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

5.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის განხორციელდეს მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც მოიცავს როგორც კლასტერულ, ისე ინდივიდუალურ შეფასებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჯამში გაიცა 7 რეკომენდაცია, საიდანაც 4 შეეხებოდა პირველი სტანდარტის 1.4 (2 რეკომენდაცია) და 1.5 (2 რეკომენდაცია) კომპონენტებს, 1 შეეხებოდა მეორე სტანდარტის 2.4 (1 რეკომენდაცია) კომპონენტს და 2 შეეხებოდა მეხუთე სტანდარტის 5.1 (1 რეკომენდაცია) და 5.2 (1 რეკომენდაცია) კომპონენტებს.

უსდ-მ სრულად შეასრულა რეკომენდაციები, კერძოდ პირველ სტანდარტთან მიმართებით, რეკომენდაციის ფარგლებში პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება: სავალდებულო ბლოკში გადავიდა „სტრატეგიული მენეჯმენტი“ (3 ECTS) და „მარკეტინგის საფუძვლები“ (3 ECTS), რეკომენდაციის ფარგლებში, პროგრამას მე-6 სემესტრში დაემატა სავალდებულო კურსი „საბაკალავრო პროექტი“ (5 ECTS), როგორც შემაჯამებელი აკადემიური-კვლევითი კომპონენტი, რეკომენდაციის საფუძველზე განახლდა პროგრამის ყველა სილაბუსში წარმოდგენილი ლიტერატურა: მოძველებული გამოცემები ჩანაცვლდა უახლესით და დაემატა თანამედროვე საერთაშორისო აკადემიური წყაროები. განახლებული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში, რეკომენდაციის საფუძველზე გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული ელექტრონული რესურსების ბმულები. კურსებში „საჯარო ფინანსები“ და „საჯარო პოლიტიკა“ არამოქმედი ბმულები წაიშალა, ხოლო სხვა სილაბუსებშიც უზრუნველყოფილია მითითებული წყაროების ხელმისაწვდომობა.

მეორე სტანდარტთან მიმართებით, რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები: დიაპაზონური შეფასება ჩანაცვლდა ინდიკატორულ-კრიტერიუმული სისტემით, გაზომვადი და დაკვირვებადი ინდიკატორებით; „ზეპირი პრეზენტაციისთვის“ შემუშავდა ერთიანი სტანდარტი და რუბრიკა (შინაარსი, ანალიზი, ტერმინოლოგია, სტრუქტურა, კომუნიკაცია, კითხვებზე პასუხი); თითოეულ ინდიკატორს განესაზღვრა ქულა, ხოლო საბოლოო შეფასება ყალიბდება მათი ჯამით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.

მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, რეკომენდაციის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა და განსაზღვრა პერსონალის ჩართულობის გაძლიერების მექანიზმები, რეკომენდაციის საფუძველზე ასევე შემუშავდა და დაინერგა კლასტერული პროგრამების გარე შეფასების სტანდარტიზებული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებას კლასტერულ ჭრილში.

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

- სასურველია, სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შეფასების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და შეინარჩუნოს ყოვლისმომცველი სტატისტიკური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს მონაცემების განაწილება აქტივობის სახის, მონაწილეობის კატეგორიის (მაგ. სემინარები, ონლაინ / პირისპირ ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.), სქესის და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ასევე წლების მიხედვით აღირიცხოს დასწრების მაჩვენებელი დროის მანძილზე დინამიკის მონიტორინგის მიზნით
- სასურველია, ჩამოყალიბდეს სასწავლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მიდგომა
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს მდგრადობის კომპონენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებაზე
- სასურველია, გაძლიერდეს და გაფართოვდეს პარტნიორობა საჯარო ორგანიზაციებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია თანამშრომლობითი ღონისძიებების, ერთობლივი პროექტების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობს საერთო ინტერესებს და აუმჯობესებს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას
- სასურველია, შემუშავდეს მემორანდუმების რეგულარული გადახედვის და განახლების გრაფიკი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა და ასახავდეს ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებს. აღნიშნული პროაქტიული მიდგომა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტების რელევანტურობის და ეფექტურობის შენარჩუნებას
- სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და სტრუქტურირებული ჩართულობის შესაძლებლობების შესაქმნელად, როგორიცაა: საკონსულტაციო საბჭოები, მოწვეული ლექტორები და ა.შ. გამოყენებულ იქნეს დამსაქმებლების დადებითი უკუკავშირი. დამსაქმებელთა პირდაპირი ჩართულობა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში და კომპონენტებში მათი ხედვების ინტეგრირებას
- სასურველია, ინოვაციური პროექტების შემუშავების მიზნით წახალისდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რომლებიც შესალოოა გათვალისწინებულ იქნას სასწავლო გეგმაში
- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო - კვლევით აქტივობებში
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით განხორციელდეს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით. სასურველია, პროგრამების სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის არჩევითი კურსი
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის წარმატებული გამოყენების შესაძლებლობა
- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში
- სასურველია სამომავლოდ მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების და სტრატეგიების შესწავლა და პროგრამის მიზნების აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რის საფუძველზეც კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "შესაბამისია მოთხოვნებთან"
- სასურველია უსდ-ს სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო საგნის სტატუსით გათვალისწინებული იყოს სტრატეგიული მენეჯმენტის და მარკეტინგის საფუძვლების კურსები
შეფასება	რეკომენდაციის ფარგლებში პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება: სავალდებულო ბლოკში გადავიდა „სტრატეგიული მენეჯმენტი“ (3 ECTS) და „მარკეტინგის საფუძვლები“ (3 ECTS). ცვლილებები უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებას, მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებას საჯარო სექტორში და კომპეტენციების ბალანსირებულ განვითარებას კვლევით, მმართველობით და პრაქტიკულ მიმართულებებში. **რეკომენდაცია შესრულდა**
რჩევა[15]I	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულდა.** რეკომენდაციის

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ფარგლებში, პროგრამის მე-6 სემესტრში დაემატა სავალდებულო კურსი „საბაკალავრო პროექტი“ (5 ECTS) როგორც შემაჯამებელი აკადემიური-კვლევითი კომპონენტი. კურსი უზრუნველყოფს კვლევითი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას, საჯარო მმართველობის პრობლემების ანალიზსა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული დასკვნების ჩამოყალიბებას.
რჩევა[17]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**
რეკომენდაცია III[18]	რეკომენდებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სიის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და შესაბამისობა აკადემიურ სტანდარტებთან
შეფასება	რეკომენდაციის საფუძველზე განახლდა პროგრამის ყველა სილაბუსში წარმოდგენილი ლიტერატურა: მოძველებული გამოცემები ჩანაცვლდა უახლესით და დაემატა თანამედროვე საერთაშორისო აკადემიური წყაროები. განახლებული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში. კონკრეტულად, „შესავალი საჯარო მმართველობაში“ ამოღებულია 2009 წლის სახელმძღვანელო; „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში“ ჰენდაუთი გადატანილია სავალდებულოში, ხოლო ძველი გამოცემები – დამხმარეში; „მუნიციპალურ მმართველობაში (პრეკლინიკა)“ გამოყენებულია 2022 წლის გამოცემა; „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლებში“ 2009 წლის წიგნი ჩანაცვლდა 2020 წლის გამოცემით და დაემატა ახალი წყაროები.
რჩევა[19]II	-

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**
რეკომენდაცია II[20]	რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმული, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არსებულ რესურსზე მიუთითებს
შეფასება	რეკომენდაციის საფუძველზე გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული ელექტრონული რესურსების ბმულები. კურსებში „საჯარო ფინანსები“ და „საჯარო პოლიტიკა“ არამოქმედი ბმულები წაიშალა, ხოლო სხვა სილაბუსებშიც უზრუნველყოფილია მითითებული წყაროების ხელმისაწვდომობა. **რეკომენდაცია შესრულდა**
რჩევა[21]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. სტუდენტის შეფასება**
რეკომენდაცია II[22]	რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები და გრადაცია
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულდა.** აკრედიტაციის საბჭოს შენიშვნა შეფასდა როგორც სამართლიანი: არსებული

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სისტემა არ იყო საკმარისად სტანდარტიზებული და ტოვებდა სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები: • დიაპაზონური შეფასება ჩანაცვლდა ინდიკატორულ-კრიტერიუმული სისტემით, გაზომვადი და დაკვირვებადი ინდიკატორებით. • „ზეპირი პრეზენტაციისთვის“ შემუშავდა ერთიანი სტანდარტი და რუბრიკა (შინაარსი, ანალიზი, ტერმინოლოგია, სტრუქტურა, კომუნიკაცია, კითხვებზე პასუხი). • თითოეულ ინდიკატორს განესაზღვრა ქულა, ხოლო საბოლოო შეფასება ყალიბდება მათი ჯამით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.
რჩევა[23]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია II[24]	რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ეფექტური ჩართულობა პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში. აღნიშნული მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში და შეფასების პროცესში ჩართულ პირებთან
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულდა.** რეკომენდაციის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა და განსაზღვრა პერსონალის ჩართულობის გაძლიერების მექანიზმები.

[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გადაწყდა შეფასების ინსტრუმენტების გაზიარება, მონაცემთა პერიოდული ანალიზი, რეკომენდაციების კოლეგიალური დამუშავება და თვითშეფასებაში თემატური ჩართულობა. იმპლემენტაციის შედეგად გაიმართა ანალიტიკური შეხვედრები, განხორციელდა სილაბუსების კოლეგიალური განხილვა და შეიქმნა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი. შედეგები მოიცავს: საშუალო ჩართულობა – 20.9%, 21 ინიციატივა, 70% განხორციელებული ცვლილებები, 11 განახლებული სილაბუსი და სტუდენტთა კმაყოფილების 2%-იანი ზრდა. შედეგად ჩამოყალიბდა სისტემური, მონიტორინგზე დაფუძნებული თანამშრომლობის მოდელი.
რჩევა[25]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ანგარიში პერსონალის ჩართულობის შესახებ https://gruni.edu.ge/main/news/1766034379

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.2. გარე ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია II[26]	რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც მოიცავს როგორც კლასტერზე დაფუძნებულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებას
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულდა.** რეკომენდაციის საფუძველზე შემუშავდა და დაინერგა კლასტერული პროგრამების გარე შეფასების სტანდარტიზებული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებას კლასტერულ ჭრილში. იგი მოიცავს მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმებისა და კვლევითი/პრაქტიკული კომპონენტების სიღრმისეულ ანალიზს, ქულათა სისტემასა და რეკომენდაციების ფორმულირებას. ინსტრუმენტი აძლიერებს პროგრამებს შორის კავშირის და აკადემიური პროგრესიის შეფასებას და

[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	უზრუნველყოფს შედეგების გამოყენებას განვითარების პროცესში. პროგრამა დადებითად შეფასდა გარე შემფასებლების მიერ, შენიშვნების გარეშე.
რჩევა[27]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; გარე კლასტერული შეფასების ფორმა. გარე ექსპერტის შეფასება (კლასტერული). გარე ექსპერტის შეფასება (ინდივიდუალური)

თანდართული დოკუმენტაცია[28]

ექსპერტის ხელმოწერა



[27]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[28]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა